საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფოსტო და საკურიერო საქმიანობის საწარმოთა გამოკვლევა

2020

28.10.2021

www.geostat.ge

28.10.2021

საფოსტო და საკურიერო საქმიანობის საწარმოთა გამოკვლევის შედეგები

(2020 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების[1] შემოსავლებმა 95,9 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან საერთაშორისო საფოსტო-საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 75,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო 24,9 პროცენტი ადგილობრივი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებია.

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 60,9 პროცენტი ამანათების მიწოდებიდანაა მიღებული, რომლის 80,6 პროცენტი მოდის საერთაშორისო გზავნილებზე, ხოლო 19,4 პროცენტი - ადგილობრივ გზავნილებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა:

დიაგრამა №1

ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2020 წელს



[1] სახლში საკვების მიწოდების მომსახურების გარეშე (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016) ჯგუფი 53.2)

28.10.2021

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 25,6 პროცენტი წერილობით კორესპოდენციებზე მოდის, რომლის 60,1 პროცენტი საერთაშორისო, ხოლო 39,9 პროცენტი - ადგილობრივი გზავნილებია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურას:

დიაგრამა №2

წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2020 წელს



საფოსტო და საკურიერო მომსახურებით დაკავებული საწარმოების მიერ 2020 წლის განმავლობაში გაგზავნილია 5350.1 ათასი წერილობითი კორესპონდენცია და 3389.4 ათასი ამანათი.

2020 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 4,3 ათას კაცს შეადგენდა. მათ შორის 1156 კურიერი, ფოსტალიონი და ფელდეგერია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge